

ძვირფასო მეგობრებო, კოლეგებო!

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, გოგი მარგველაშვილის ინიციატივით, 2020 წლის 6 ივლისს, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსში, დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრში (აუდიტორია №1, შოთა რუსთაველის გამზირი №19) გაიმართება საქართველოს თეატრების 2019-2020 წლების სეზონის შეჯამება.

შეხვედრაზე მოწვეულნი იქნებიან საქართველოს თეატრების (სახელმწიფო, კერძო, მუნიციპალური) ხელმძღვანელები, წარმომადგენლები.

სეზონის შეჯამებაზე დასწრება შეეძლება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

დისკუსიაში მონაწილეობას მიიღებენ თეატრების წარმომადგენლები.

სეზონის შეჯამება ჩაფიქრებულია ორ ეტაპად: შეხვედრა-განხილვა და წაკითხული მოხსენებების დაბეჭდვა კრებულად. გამოცემის მომზადებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრი“.

საქართველოში ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, განხილვაში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაციის თარიღმა გადაიწია 20 აპრილამდე.

2019-2020 წლების სეზონის შეჯამებაში მონაწილეობის მსურველებმა გამოგვიგზავნეთ ქვევით მითითებული შევსებული ანკეტა და მოგვმართეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე:
mvasadze@tafu.edu.ge
lchkhartishvili@tafu.edu.ge

2019-2020 წლების სათეატრო სეზონის შეჯამებაში მონაწილეობის მსურველის ანკეტა

სახელი და გვარი

პროფესია

საკონტაქტო ინფორმაცია (მობ. ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა)

1. რომელ თეატრზე ან რა ტენდენციაზე გსურთ გააკეთოთ მოხსენება?
2. საქართველოში არსებული ყველა თეატრის (სახელმწიფო, მუნიციპალური, კერძო) 2019-2020 წლის სეზონის მიმოხილვა-შეფასება.
3. გასტროლები და ფესტივალები უცხოეთში.
4. საქართველოში არსებული ფესტივალები.

სეზონის შეფასებაში მონაწილეობის მსურველებს მოგაწვდით საქართველოს თეატრების სიას და რეპერტუარს.